ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠ�გᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

16 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ ᲙᲕᲘᲠᲐ 1973 ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐᲞ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ ● № 292 (15809)

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲛᲝᲜᲘᲠᲔᲕᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲔᲝᲩᲔᲥᲕᲔᲡᲘ ᲡᲔᲡᲘᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲔᲝᲩᲔᲥᲕᲔᲡᲘ ᲡᲔᲡᲘᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ 1973 ᲬᲚᲘᲡ 19 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲓᲘᲚᲘᲡ 10 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲗᲐ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲠᲔ�გᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲪᲔᲛᲐ ᲘᲬᲧᲔᲑᲘᲡᲐ 17 ᲓᲐ 18 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ 9-ᲓᲐᲜ 21 ᲡᲐᲐᲗᲐᲛᲓᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲨᲘ, ᲝᲗᲐᲮᲘ № 1, № 4; ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ: 99-08-54, 99-67-16, 99-58-19, 99-56-18.

19 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲠᲔ�გᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ ᲘᲬᲧᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲚᲘᲡ 8 ᲡᲐᲐᲗᲘᲓᲐᲜ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲣᲮᲣᲪᲔᲡᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲣᲮᲣᲪᲔᲡᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ ᲒᲐᲛᲘᲐᲠᲗᲔᲑᲐ 1973 ᲬᲚᲘᲡ 19 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲓᲦᲔᲡ 9 ᲡᲐᲐᲗᲐ ᲓᲐ 30 ᲬᲣᲗᲖᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲗᲐ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ.

ᲡᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲓᲐᲚᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲘ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲝᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲞᲘᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲠᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲝ

მთავრდება გადამწყვეტი წელი

(დასასრული)

რეალიზებული და მთლიანი პროდუქციის საგეგმო დავალებანი. წინა თვეებში დაშვებული გარღვევა ვერ ანაზღაურდა. ანალოგიური მდგომარეობაა თბილისის პატონის სახელობის ელექტროშესადუღებელი მოწყობილობის ქარხანაშიც.

ნოემბერში წარმოების ტემპი შეანელა საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ზოგიერთმა საწარმომ. ამან გავლენა მოახდინა თვის გეგმის შესრულებაზე მთლიანად სამინისტროს სისტემაში. თუმცა წლის დამღეგიდან მთლიანი პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გეგმის შესრულება შესაბამისად შეადგენს 100 და 102 პროცენტს.

ხელმძღვანელები ქმედითს ღონისძიებებს არ ახორციელებენ ჩამორჩენილ საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესებისათვის. პირიქით, როგორც ამ საწარმოებში საგეგმო მაჩვენებელთა შესრულების ანალიზი ცხადყოფს, ამ მაჩვენებელთა გაუარესებაც კი შეიმჩნევა. ასეთი მდგომარეობაა გარდაბნის მუყაო-რუბეროიდის ქარხანაში, ქავთისხევის კერამიკის მაღაროთა-სამმართველოში, საგარეჯოს საშენ მასალათა ქარხანაში.

მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ მთლიანად პროდუქციის რეალიზაციის 11 თვის გეგმა შეასრულა. 1972 წელთან შედარებით ყოველთვიურად ჩქარდება წარმოების ტემპი, მაგრამ ვერ შესრულდა შალის და ბამბის ნართისა და ქსოვილების, ხალიჩების და ტყავის ფეხსაცმლის წარმოების გეგმა. წამყვან საწარმოთა შორის ჩამორჩენენ და პროდუქციი დაგვიანეს თბილისის კამოლური დარეგის ფაბრიკამ, თბილისის მაუდკამოლის კომბინატმა, გორის ბამბეულის კომბინატმა.

რეალიზებული პროდუქციის ნოემბრის გეგმა ვერ შესრულეს თელავის აბრეშუმსახვეევმა ფაბრიკამ, ქუთაისის ბამბის საქსოვამ და საწარმოო გაერთიანებამ, ქუთაისის მაუდის ფაბრიკამ, ცხინვალის ხალიჩების კომბინატმა, ხოლო თბილისის მაუდკამოლის კომბინატმა ვერ შეასრულა ავრეთვე მთლიანი პროდუქციის წარმოების ერთი თვის დავალება.

ამ დარგის საწარმოებში საგეგმო დავალებათა შეუსრულებლობის მთავარი მიზეზებია ლაბალი ტექნოლოგიური დისციპლინა და სიძნელეები კვალიფიციური მუშათა კადრებით დაკომპლექტების საქმეში.

კვების მრეწველობის სამინისტროს ხაზით პროდუქციის რეალიზაციის 11 თვის დავალება ვერ შეასრულა ცხრა საწარმომ. ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა მოუხდელი რძის პროდუქციის წარმოების 11 თვის გეგმის შესრულებას დაჩქარეს 3,8 ათასი ტონა.

რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროთა და უწყებათა სამრეწველო საწარმოებმა თუმცა მთლიანად შეასრულეს რეალიზებული და მთლიანი პროდუქციის მოცულობის 11 თვის გეგმა, მაგრამ თავი ვერ გაართვეს რეალიზაციის გეგმას ნოემბერში. ეს მნიშვნელოვანწილად განპირობებული ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა არადამაკმაყოფილებელი მუშაობით. ამ სამინისტროს სისტემაში ჯერ კიდევ ბევრია საწარმო, რომლებიც ვერ ასრულებენ რეალიზებული პროდუქციის გეგმას. განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ თბილისის № 1 და № 3 მექანიკური ქარხნები, მარნეულის საგლანტერეო-სატრიკოტაჟო ფაბრიკა, ბოგდანოვკის სამკერვალო ფაბრიკა, ცხინვალის მექანიკური ქარხანა, ბათუმის პემზა-ბლოკის ქარხანა, ამბროლაურისა და წულუკიძის რაიონული სამრეწველო კომბინატები, რომლებმაც გეგმის შესრულება ჩაშალეს ძირითადად წარმოების სუსტი ორგანიზაციის გამო.

სამინისტროს საწარმოები ჯერ კიდევ ვერ ასრულებენ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაკითხობების წარმოების გეგმას. სისტემატურად არ სრულდება ფოლადის ბადის, მავთულის ლერსმნის, რეზინისა და ტყავის ფეხსაცმლის, თხევადი გაზის बალონების, დახერხილი მასალის, საკეთილი მასალების, ალამადნეული საშენი მასალების, ბამბის, შალისა და აბრეშუმის ქსოვილების, ტყავის გალანტერეის, ფალკოჰოლო სასმელების, მინერალური წყლების, აგრეთვე ელექტროსადენებისა და ელექტროგრძელი ფანჯრული-საყოფაცხოვრებო ნაწარმოებისა“ და სათჯახო საქონლის: ავეჯის, რკინის საწოლების, ალუმინის დატვიფრული ჭურჭლის, ხორცის საკვები მანქანების, ბალ-ბოსტნის ინსტრუმენტების, ყავეულის და ალიტების, სხვა ნაკეთობათა წარმოების საგეგმო დავალებანი.

გეგმის შეუსრულებლობის ძირითადი მიზეზები, არასამართლიანი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისთან ერთად, არის ავრეთვე ორგანიზაციულ-საწარმოო ხასიათის უფესივრობანი და აღგილობრივი მრეწველობის სამინისტროს მიერ კონტროლის შესუსტება დაქვემდებარებულ საწარმოთა საქმიანობისადმი.

პროდუქციის წარმოების გადიდებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შრომის ნაყოფიერების ზრდას. ამ მაჩვენებლის მიხედვით რესპუბლიკის მრეწველობამ მთლიანად 11 თვის გეგმა 103,1 პროცენტით შეასრულა.

მაგრამ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით საკავშირო დაქვემდებარების 145 საწარმოდან 29 საწარმოში შემცირდა შრომის ნაყოფიერება. ესენი არიან ჭიათურის მანგანუმის ტრესტი, საქართველოს საყოფაცხოვრებო ქიმიის ფირმა, გელათის ტრანსფორმატორების ქარხანა, თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხანა, გაგრის თევზის ქარხანა, თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხანა და სხვ.

საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების 550 საწარმოდან შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი შეანელა 144 საწარმომ, ანუ 26,2 პროცენტმა.

ჩამორჩენილ საწარმოთა მაჩვენებლების ანალიზი ცხადყოფს, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი, როგორც წესი, შეანელეს ამ საწარმოებმა, სადაც წლის დამდეგიდან შემცირდა მთლიანი პროდუქციის მოცულობა და გაიზარდა სამრეწველო-საწარმოო პერსონალის რიცხვი.

თათბირზე გამოვიდნენ მთელ რიგ საწარმოთა, გაერთიანებათა, სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები, რომლებმაც თამბირს მოახსენეს, თუ როგორ სრულდება მიმდინარე წლის გეგმები და რა ღონისძიებანი ხორციელდება ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის.

თათბირის მუშაობის შედეგებ შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ზ. ა. პატარაიძემ.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ვ. ი. ვადაჭკორია და ე. მ. ჯაფარიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგე ბ. ზ. ბარსუკოვი. (საქინფორმი).

საუკეთესოთა გამოცდილება—ყველას

სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიაში

გაიმართა სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის მორიგი სხდომა. კომისიამ განიხილა საკითხი, თუ როგორ სრულდება საქართველოს სსრ მუშაობენ და ავეჯის მრეწველობის საწარმოებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებ „უფთი დღის საწარმოო დავალების ოთხ დღეში შესასრულებლად რესპუბლიკის მოწინავე მუშათა ტრიოტული ინიციატივის შესახებ“. ამ საკითხზე ინფორმაცია გააკეთა სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის პასუხისმგებელმა მდივანმა გ. ხომერიკაძა. აღინიშნა, რომ რესპუბლიკის მუშებიები და კვების მრეწველობის სამინისტროთა საწარმოებმა, რომლებიც ჩაებნენ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში საწარმოო დავალებათა და ნაკისრ ვალდებულებათა ვადამდე შესრულებისათვის, 1973 წელს გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს. მაგალითად, ამ სამინისტროთა სისტემაში მოწინავე მუშების ა. სხირნოვის, მ. არათანაშვილის, ლ. ჭანკოტაძის, გ. რიმნისოვეილისა და სხვათა თაოსნობით შრომის ბანაობრივი კაცი.

მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოების მუშაკთა სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობას.

მოწინავე მუშებისა და შრომითი კოლექტივების ინიციატივის და გამოცდილების ფართოდ გავრცელებამ ამ სამინისტროს საშუალება მისცა წარმატებით შეესრულებინათ სახელმწიფო გეგმები და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი. მიმდინარე წლის 10 თვეში ამ სამინისტროს საწარმოებმა ნაკისრ ვალდებულებათა (41,3 მილიონი მანეთი) გადამეტებით უზრუნველყოს თითქმის 21 მილიონი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია.

ამასთანავე რესპუბლიკურმა კომისიამ აღნიშნა, რომ მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტროთა ზოგიერთი საწარმოს მუშაობაში, რომელიც მიზნად ისახავს სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის დევიზით „უთდღიური—ოთხ დღეში“, წარმოების ნოვატორთა და მოწინავეთა გამოცდილების დანერგვის საქმეში ჯერ კიდევ არსებითი ნაკლოვანებები და ხარვეზებია. სუსტად არის დაყენებული შრომის პროგრესული მეთოდებისა და მოწინავე გამოცდილების პროპაგანდა და დანერგვა, ჯეროვნად არ არის ორგანიზებული შეჯიბრება ყოველ სამუშაო ადგილზე შრომის ნაყოფიერების ზრდის პირადი კომპლექსური გეგმებისა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა შემოქმედებითი გეგმების შესადგენად. სათანადოდ არ აბამენ მშრომელებს ბრძოლაში, რათა უკეთ გამოიყენონ რეზერვები და აამაღლონ წარმოების ეფექტიანობა, დაზოგონ მატერიალური და ფინანსური რესურსები, გაუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი, აუმაღლონ კვალიფიკაცია მუშებს. რაციონალურად არ იყენებენ სამუშაო დროს, სუსტია შრომის დისციპლინა, რის შედეგად დიდძალი სამუშაო დრო იკარგება. მთელ რიგ საწარმოებში შეჯიბრების ბეგრი მონაწილე ვერ ასრულებს ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს. იშვიათი როდია შემთხვევები, როცა შიდასაქარხნო და შიდასაფაბრიკო შეჯიბრების პირობებში არ ჩანს მოწინავეთა თაოსნობა, ცალკეული კატეგორიების მუშებს არა აქვთ განსაზღვრული პირადი გეგმები და ვალდებულებანი პროდუქციის ნატურით გამოშვებისათვის, შეჯიბრების შედეგებს განსაზღვრავენ გამომუშავების დონის შესრულების მიხედვით, ხოლო გამომუშავების ნორმების შესასრულებლად ნაკისრი ვალდებულებანი რიგ შემთხვევებში ფაქტიურად მიღწეულ დონეზე ნაკლებია.

მთელ რიგ საწარმოთა პარტიული ორგანიზაციები ჯეროვანი ყურადღებით არ გეიდებიან ნოვატორთა თაოსნობის გავრცელების საკითხებს, კომუნისტური შრომის სკოლების მუშაობას და სოციალისტური შეჯიბრების სხვა კონკრეტულ საკითხებს.

ცალკეული ნაკლოვანებანია შეჯიბრების საჯაროობის უზრუნველყოფის, მის გამარჯვებულთა პოპულარიზაციის საქმეში, ირღვევა შეჯიბრების შედეგების შეჯამების ვადები, ზოგჯერ პირველი ხარისხით აღნიშნავენ საწარმოო დეფექტების მქონე პროდუქციას, ასეთი დეფექტების აღმოფხვრელად კი პროდუქციის რეალიზაცია არ დაიშვება.

ყველაზე დამახასიათებელი დეფექტები, რომელთა გამო ნაწარმს ხარისხს უქვითებენ და გამოსასწორებლად აბრუნებენ, იმის შედეგია, რომ დაუდგენლად სრულდება წარმოების ცალკეული ტექნოლოგიური პროცესები, ირღვევა ტანსაცმლის კერვის დაწესებული მეთოდიკა და ტექნოლოგია, საბოლოო ანგარიშით კი ყოველივე ეს გამოწვეულია იმით, რომ ფაბრიკის ტექნიკურმა ხელმძღვანელობამ შეასუსტა კონტროლი საწარმოო პროცესისადმი, ხოლო ტექნიკური კონტროლის განყოფილება მომთხოვნელობითა და მთელი სიმკაცრით არ ეკიდება მზა პროდუქციის ხარისხს.

ფაბრიკაში არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია სამრეწველო-საოფისე საინსტრუქციო რეკლამები, ხოლო ბქ, სადაც საკვანძო ოპერაციები სრულდება, ხშირად არ აქვთ შესაფერისი ნემსშები.

უხარისხო პროდუქციის გამოშვების ერთ-ერთი მიზეზია ფაბრიკის ურიტმო მუშაობა. ეს გამოწვეულია რიგორც ორგანიზაციული უფესივრობით, ისე შეფერხებებით საწარმოს მომარაგებაში ძირითადი ნედეულეთით, დამხმარე მასალებითა და ფურნიტურით. მიღებული ფურნიტურა ხშირად დაბალხარისხოვანია. მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს კი ჯერ არ მოუფყრია თავისი საფურნიტურე წარმოება.

ფაბრიკა სუსტად არის აღჭურვილი მოწინავე დიდმწარმოებლური ტექნოლოგიური მოწყობილობით, არ არის უზრუნველყოფილი მცირე მექანიზაციის საშუალებებით, რაც აერთვეულ ხელს უშლის პროდუქციის ხარისხის გაუარესებას. საშუალო რიგობრის არადროული ჩაბარების გამო აფეილი აქვს მანქანა-მოწყობილობის ზენორმატიულ მოცდენებს.

ფაბრიკას აკლია სასაწყობო ფართობები.

საწარმოს პროდუქციის დაბალ ხარისხს მოწმობენ სავაჭრო ორგანიზაციებისაგან მიღებული რეკლამაციები, რომლებიც 1973 წლის 9 თვეში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით თუმც შემცირდა, მაგრამ პროდუქციის დაბალ ხარისხში გადაკვანისა და გამოსასწორებლად დაბრუნების პროცენტი, აგრეთვე საჯარიმო სანქციების თანხა კიაზარდა.

თავის მხრივ, ფაბრიკამ რეკლამაციები წარუდგინა მთელ რიგ საწარმოებს, რომლებიც მას უხარისხო ქსოვილებს აწვდიან. ამის შედეგად ათასობით მეტრ სხვადასხვა ქსოვილებს დაუქვეითეს ხარისხი, დაიწუნეს, საწარმოს კი ათასობით მანეთი ჯარიმა გადაუხდევინეს.

ფაბრიკაში გარკვეული მუშაობა წარმოებს მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილების შესაფერისი საქონლის წარმოების გადიდებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ამის შედეგად ფაბრიკაში შეკერილი ნაწარმის 11 მოდელს სახელმწიფო ხარისხის ნიშანი მიენიჭა. მომზადებულია აბკისტაციანი წარსადგენად ქალისა და ბავშვის კაბების 10 მოდელი.

მაგრამ საწარმოს ხელმძღვანელობამ ჯერ კიდევ ვერ შეძლო სრულად დაერაზმა ფაბრიკის კოლექტივი იმ ამოცანების შესასრულებლად, რომლებიც გამომდინარეობენ დარეგტიული ორგანიზმის დადგენილებიდან ფეხსაცმლის, შეკერილი და ტრიკოტაჟის ნაწარმის ხარისხისა და ასორტიმენტის გაუმჯობესების თაობაზე სკკ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მუშაობის შესახებ.

ნელა წარმოებს მუშაობა ნაწარმის უდიფექტო დამზადებისა და ტექნიკური კონტროლის განყოფილებაში პირველი წარდგენით ჩაბარების სისტემის დასაწერგად.

ცალკეულ მუშაკებს, ბრიგადებსა და საამქროებს შორის სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებებში საკმარისად არის ასახული პროდუქციის ხარისხისათვის ბრძოლის საკითხები. დაწესებულია გარდამავალი დროშები და ვიმპელები საუკეთესო ხარისხისათვის, შემოღებულია შეჯიბრების გამარჯვებულთა მატერიალური წახალისება, მაგრამ საწარმოო მაჩვენებლებით თუ ვიმსჯელებთ, სოციალისტური შეჯიბრება ფაბრიკაში ჯერ არ გამხდარა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლის მძლავრი ბერკეტი. ეს მოწმობს ფორმალიზმის ელემენტების არსებობასა და შეჯიბრების ორგანიზაციის ნაკლებ ეფექტიანობას.

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, პროდუქციის ხარისხის დონის მნიშვნელოვანი ამაღლებისა და ასორტიმენტის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად კომისიამ დასახა ვრცელი რეკომენდაციები.

კომისიამ განიხილა აგრეთვე სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამების მეთოდიკურ რეკომენდაციათა პროექტი, მოისმინა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომქცელობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის გ. თავამაშვილის ანგარიში სოციალისტური შეჯიბრებისათვის საჭირო თვალსაჩინო საშუალებათა გამოშვების მდგომარეობის შესახებ.

სხდომის შედეგები შეჯამა სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგემ შ. ყარყარაშვილმა.

(საქინფორმი).

სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკურ კომისიაში

ეარნეულის

ეარნეულის რაიონის არაფლოს მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობას მძლავრი და მრავალფეროვანი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა აქვს. აქ 43 ტრაქტორი, 8 კომბაინი, 9 სათესი მანქანა და სხვა ინვენტარია.

არაფლოელმა მებოსტნეებმა განიხილეს საგარეჯოელი მექანიზატორების ინიციატივა და გადაწყვეტეს მომზადებული შეხვდნენ ხუთწლედის მეოთხე წლის მინდვრის სამუშაოებს და მთელი ტექნიკის შეკეთება ვადამდე — 15 მარტისათვის შეასრულონ.

ხუროთმოძღვარი: სახელოსნოში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეკეთება მიმდინარეობს. წინა პლანზეა ინჟინერი-მექანიკოსი ა. რიზაგულიევი (მარჯვნივ) და სახელოსნოს გამგე ი. ახვერდოვი.

ი. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ქართული

ქართული ქვანახშირის ქალაქი ტყიბული ხარაჩოებშია. მას აქამდე არ ახლოვს მშენებლობის ასეთი ფართო მასშტაბი და გაქანება. მიმდინარე წლის ივნისში დამთავრდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ყველაზე ღრმა კომკავშირული შახტი; ორჯონიკიძის სახელობის შახტის მოსწავლეებმა პირველ სექტემბერს ახალ ორსართულიან სკოლაში დაიწყეს მეცადინეობა. ამ დღეებში მშენებლებმა ხარაჩოები ჩამოხსნეს ახალ ზუთსართულიან საცხოვრებელ სახლს, სადაც სულ მალე სამოცი ოჯახი ეზიმფებს ახალმოსახლეობას.

ქალაქის მშენებლობის პერსპექტიული გეგმა კიდევ მეტს ითვალისწინებს. წელს აქ მარტო ტყიბულმშენის სამმართველოს (უფროსი ა. ჯაფარიძე) ხაზით გათვალისწინებულია 9 ახალი ობიექტის ამოშენება. წლის ბოლომდე თითებზე ჩამოსათვლელი დოიენოა დარჩა. **რა მდგომარეობაა სამშენებლო ობიექტებზე? რა უჭირთ და რა ულხინთ აქაურ მშენებლებს?**

ყველაზე დიდი მასშტაბის მშენებლობა ახლა გაჩაღებულია ორი მდინარის — ტყიბულისა და საბელასურის შესართავთან. აქ ოკეანე წამოიმართა **პურის ქარხნის უზარმაზარი კორპუსი.** მისი ყველა დანადგარი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან იქნა შემოზიდული. ყველა მრეწველობის ის ენციკლოპედიური ქარხანა დიდამეში 30 ტონა პურ-ფფქნთშეწყლს გამოაშენებს. მთელი მშენებლობა შემოქმედებითი შრომით ცხოვრობს. ალიონიდან დაბინდებამდე არ ნელდება მუშაობის ტემპი. პირველი სამშენებლო ობინის კოლექტივი, რომელსაც ბ. მესხი ხელმძღვანელობს, ოდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდება დავალების შესრულებას. ობანმა ამ ობიექტზე ნაკლოდ გეგმით გათვალისწინებული 140 ათასი მანეთისა ოქვა შეასრულა 256 ათასი მანეთის სამშენებლო სამუშაოები. ახლა ჯერ მემონტაჟეებს დგას. სამონტაჟო სამუშაოთა კოორდინაციის მიზნით გენერალურმა მოიჯარადრემ — „საქშახტმშენის“ ტრესტმა ადგილზე მოვლინა ვ. მოლოდილი ინჟინერი ვ. ბახტაძე, იგი მშენებლობაზე დაგვხვდა.

— ყველაზე მეტად მშენებლობას აფერხებს გამმართავი ბრიგადის მუშაობის ნელი ტემპი, — გვითხრა ვ. ბახტაძემ. — ამ მიზეზით ერთობ გაჭიანურდა პურის საცხობი მისამე ღუმელის, საკომპრესორო მეურნეობისა და სატვირთო ლიფტის ამოშენება.

ჩვენ დეტალურად დავთვალიერეთ ასამშენებელი ქარხანა, ვესაუბრეთ მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკოსებს, მშენებელ სპეციალისტებს. ყველა მათგანს აფერხებს მშენებარე ქარხნის კანალიზაციის მოუგვარებლობა. კანალიზაციის მთელი მიწისქვეშა ქსელი წყლით არის ავსებული. საქმე ის არის, რომ ქარხანა დღემდე ვერ მოეთრთეს ქალაქის კანალიზაციის მთავარ მაგისტრალს. აქ დიდი შრომატევადი სამუშაოა შესასრულებელი. დაახლოებით 700 კუბიკ მეტრზე ნაწილ გაიჭრას ღრმა არხი და ჩაიწყოს აზბესტის მილები. ასეთი მილები მშენებლებს ამჟამად არა აქვთ, დრო კი მიდის. კანალიზაციის მოუგვარებლად შეუძლებელი იქნება ქარხნის ამოშენება. ეს პრობლემა სასწრაფო გადაჭრას მოითხოვს.

ასამშენებელი ობიექტი განიცდის ზოგიერთი სამშენებლო მასალებისა და დანადგარ-მოწყობილობის ნაკლებობას. თუჯის ფიბერტის მილები. ასეთი მილები მშენებლებს ამჟამად არა აქვთ, დრო კი მიდის. კანალიზაციის მოუგვარებლად შეუძლებელი იქნება ქარხნის ამოშენება. ეს პრობლემა სასწრაფო გადაჭრას მოითხოვს.

ასამშენებელი ობიექტი განიცდის ზოგიერთი სამშენებლო მასალებისა და დანადგარ-მოწყობილობის ნაკლებობას. თუჯის ფიბერტის მილები. ასეთი მილები მშენებლებს ამჟამად არა აქვთ, დრო კი მიდის. კანალიზაციის მოუგვარებლად შეუძლებელი იქნება ქარხნის ამოშენება. ეს პრობლემა სასწრაფო გადაჭრას მოითხოვს.

ამ ბარიერების გადულახავად ერთობ გაძნელდება ტყიბულში პურის ახალი ქარხნის მშენებლობის დამთავრება და საექსპლოატაციოდ გადაცემა. ამიტომ ოგორც დამკვეთის — საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს, ისე გენერალური მოიჯარადრის — „საქშახტმშენის“ ტრესტის ინჟინერ-ტექნიკურ

ასამუშავებელ ობიექტებზე

ხარაჩოებიც კი დალეა...

კუს ნაბიჯით ტყიბულის მშენებლობებზე

ლების უქონლობის გამო შეფერხებულია საკონდიტრო საამქროსა და პურის გასაცემი ბაქანის ფილების მოპირკეთება. ფქვილის მიმწოდებელი გაყვანილობის მონტაჟის დამთავრებას აფერხებს ფასონური მილების ნაკლებობა.

რესპუბლიკურმა გაერთიანება „საქპურკონდიტერმა“ რატომღაც დღემდე ვერ შეძლო ასამუშავებელი ქარხნის მთლიანად დაფინანსება. წელს დამკვეთმა მხოლოდ 140 ათასი მანეთი გამოაყო. ქარხანა რომ ამუშავდეს, 360 ათასს მანეთზე მეტია საჭირო.

ამ ბარიერების გადულახავად ერთობ გაძნელდება ტყიბულში პურის ახალი ქარხნის მშენებლობის დამთავრება და საექსპლოატაციოდ გადაცემა. ამიტომ ოგორც დამკვეთის — საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს, ისე გენერალური მოიჯარადრის — „საქშახტმშენის“ ტრესტის ხელმძღვანელებს ერთობლივი, შეწყობილი და ოპერატიული მუშაობა მართებთ, რათა რაც შეიძლება უმოკლეს დროში აღმოიფხვრას ყველა ხელისშემშლელი მიზეზი და გასაშვები ობიექტი ამუშავდეს მთავრობის მიერ დადგენილ ვადაში.

„ტყიბულმშენის“ სამმართველოს ასამუშავებელ ობიექტთა რიცხვშია **პროდუქტების საწყობი,** რომელის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 388 ათას მანეთს შეადგენს. წელს აქ გეგმით 173 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები უნდა შესრულებულიყო, ფაქტიურად მხოლოდ 146 ათასი მანეთის სამუშაოები შესრულდა და თერთმეტი თვის გეგმა მხოლოდ 89 პროცენტით იქნა შესრულებული. მშენებლობის შეფერხებებში ბრალი მიუძღვის დამკვეთს — საქართველოს ქვანახშირის კომბინატს, რომელმაც ვერ უზრუნველყო მშენებლები საჭირო მასალებით. მშენებლობას ამჟამად 21 დასახელების მოწყობილობა აკლია.

იქვს წელზე მეტია ქალაქის ცენტრში შენდება **ათასადგილიანი სპორტის სასახლე.** შენდებაო, ვამბობთ, თორემ ეს რა მშენებლობაა. ხის ხარაჩოები უკვე დიდი ხანია დადგა. მაგრამ შენობის დამთავრებას არ დაადგა საშველი, გენერალურმა მოიჯარადრემ — „ტყიბულმშენის“ სამმართველომ წელს ეს ობიექტი ასამუშავებელთა სიაში შეიტანა. მაგრამ ფორმალურად, მოვალეობის მოხდის მიზნით. სამაორნელო წელი ისე გავიდა, რომ მშენებლები ენერგიულად თუ გამოჩნდებოდნენ. ამიტომ იყო, რომ თერთმეტ თვეში აქ მხოლოდ 15 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები იქნა შესრულებული, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 44 ათასი მანეთისა.

წელს ისევ სიჩუმე იყო ისეთ ასამუშავებელ ობიექტზე, როგორიც არის **პროფილაქტორიუმ „ცხინვალის“ საბავირო-საბაგირო გზა.** მშენებლები აქ არც თენიშზე აწუხებენ თავს და თითს-თითზე არ ადებენ, ხელიდან უშვებენ ძვირფას დროს. მიუხედავად იმისა, რომ მშენებლობის დაწყებიდან შვიდ წელზე მეტი გავიდა, საჰაერო-საბაგირო გზა სანახევროდაც არ არის აგებული. **ყველაზე გულსატკივნი ის არის, რომ იეანგება და ფუჭდება ძვირფასი მოწყობილობა, რომლის დამზადებაში საბჭოთა კავშირის მრავალი ქარხნის კოლექტივმა მიიღო მონაწილეობა.**

კარგი, ნორმალური მდგომარეობა არც დანარჩენ ისეთ ასამუშავებელ ობიექტებზეა, როგორიც არის **ლენინის სახელობის შახტის ადმინისტრაციულ-საყოფაცხოვრებო კომბინატი, რადიოსარეალეო ხაზი, ბენზინით გასამართავი სადგური და სავსებით მასალის საცდელი კარიერი.** მათი ამოშენება, არა თუ წელს, როგორც ეს მთავრობის მიერ არის დადგენილი, გაისადაც კიდევ გაძნელდება, თუ გადამჭრელი ზომები არ იქნა მიღებული.

ასამუშავებელ ობიექტებზე შექმნილი ასეთი არანორმალური მოგომარეობა იმის შედეგია, რომ მშენებელი და დამკვეთი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, პარტიული ბიუროები ვერ აწყობენ ჯეროვან, სისტემატურ კონტროლს ასამუშავებელ ობიექტებზე. არ ეჩენენ მაცარ მომთხოვნელობას. არ ავლენენ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისათვის ნამდვილი პასუხისმგებლობის გრძნობას.

ვ. ციბერკაძე.

„კომუნისტის“ სპ. კორ.

კანონი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა

სახელმწიფო მართვის ორგანოთა ორგანიზაციისა და შექმნის შესახებ და სსრ კავშირის კონსტიტუციის (ფუძემდები კანონის) 70-ე და 77-ე მუხლებზე შემასებული ნაწილებისა ეროვნული თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს ბრძანებულებანი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა:

1973 წლის 20 აგვისტოს ბრძანებულება „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა კომიტეტის გარდაქმნის შესახებ“;

1973 წლის 11 ოქტომბრის ბრძანებულება „სსრ კავშირის მეცხოველეობისა და საკვებწარმოების მანქანათმშენებლობის საერთოსაკავშირო სამინისტროს შექმნის შესახებ“.

ამის შესაბამისად შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებანი სსრ კავშირის კონსტიტუციაში:

70-ე მუხლს სიტყვების „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის“ შემდეგ დაემატოს სიტყვები: „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე“;

77-ე მუხლს სიტყვის „მანქანათმშენებლობისა“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „მეცხოველეობისა და საკვებწარმოების მანქანათმშენებლობისა“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. ბიორბაძე.

მოსკოვი, კრემლი.
1973 წ. 14 დეკემბერი.

კანონი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ, რომლებსაც ზოგიერთი ცვლილება შეეტანა სსრ კავშირის მოქმედ კანონმდებლობაში

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი:

1973 წლის 10 აგვისტოს ბრძანებულება „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების 102-ე მუხლის მეორე ნაწილის შეცვლის შესახებ“;

1973 წლის 4 სექტემბრის ბრძანებულება „მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა გამოცემისათვის, შესრულების ან სხვა გამოყენებისათვის მისაკუთრებიდან საშემოსავლო გადასახადის შესახებ“;

1973 წლის 19 სექტემბრის ბრძანებულება „საჰაერო ტრანსპორტით ასაფრენ-ჩამოსასვლელი ან ადგილდამაკარებადი ნივთიერებების, სხვა საშიში ტვირთისა და საგნების ულინოდ გადატანისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“;

1973 წლის 20 სექტემბრის ბრძანებულება „შინამრეწველობა-ხელოსნური საქმიანობისაგან მოქალაქეთა მიერ მიღებული შემოსავლიდან საშემოსავლო გადასახადის შემცირების შესახებ“;

1973 წლის 31 ოქტომბრის ბრძანებულების „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების მე-6 და 42-ე მუხლებში ცვლილებათა შეტანის შესახებ“;

1973 წლის 26 ნოემბრის ბრძანებულება „სსრ კავშირის ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ამბები ● ფაქტები ● პრობლემები

მსოფლიო დღეს

ჩვენი საერთო საცხოვრებელი

საზოგადოებრივი დათვალიერების წინ

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ გამოაცხადეს რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოების, მშენებლობების, ტრანსპორტის, ორგანიზაციებისა და სასწავლებლების საერთო საცხოვრებლების საზოგადოებრივი დათვალიერება. დათვალიერება ეწყობა 1974 წლის 1 იანვრიდან 1 ივლისამდე.

ამასთან დაკავშირებით ჩვენი თანამშრომელი ესაუბრა საერთო საცხოვრებლების დათვალიერების მომწყობი ცენტრალური რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარეს, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანს ნელი გურგენიძეს და სთხოვა მოეთხრო დათვალიერების მიზნების შესახებ.

დათვალიერების მთავარი ამოცანაა — თქვა ამხ. ნ. გურგენიძემ, — საერთო საცხოვრებლებში მცხოვრები მუშების, მოსამსახურეების, სტუდენტებისა და მოსწავლეების საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესება, მათ შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და კულტურულ-მასობრივი მუშაობის გაძლიერება. დათვალიერებაში მონაწილეობენ სამრეწველო საწარმოთა, მშენებლობათა, ტრანსპორტის, ორგანიზაციათა და სასწავლებელთა საერთო საცხოვრებლები.

საოლქო პროფკავშირებში, ამიერკავკასიის რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის საგზაო კომიტეტში, დარგობრივი პროფკავშირების რესპუბლიკურ კომიტეტებში, საწარმოებში, მშენებლობებზე, ტრანსპორტზე, სასწავლებლებში, რომლებსაც აქვთ საწოლის ტიპის საერთო საცხოვრებლები, დათვალიერების ხელმძღვანელობისათვის იქმნება შესაბამისი დამთვალიერებელი კომისიები.

დამთვალიერებელი კომისიები საშეურნეო ხელმძღვანელების, პროფკავშირთა საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტების, კომკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობით ამუშავებენ კონკრეტულ ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავენ საერთო საცხოვრებელთა მუშაობის გაუმჯობესებას, იღებენ ზომებს ამ ღონისძიებათა განხორციელებისათვის, შესაბამისი სამეურნეო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების განსახილველად შეაქვთ წინადადებანი საერთო საცხოვრებლებში მცხოვრებთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობებისა და კულტურულ-მასობრივი მომსახურების გაუმჯობესებისათვის, ცდილობენ ამ საკითხების დადებითად გადაჭრას, აჯამებენ დათვალიერების საბოლოო შედეგებს ოლქში და თავის სისტემაში და 1974 წლის 15 ივლისისათვის ცენტრალური რესპუბლიკურ დამთვალიერებელ კომისიას წარუდგენენ ანგარიშს დათვალიერების შესახებ; იმ ორგანიზაციის მასალებს, რომელმაც წარმატებით შეასრულა რესპუბლიკური დათვალიერების პირობები, და წინადადებებს საერთო საცხოვრებლის საუკეთესო მუშაკებისა და აქტივისტების წახალისების შესახებ.

დათვალიერების გამარჯვებულად ჩაითვლება საერთო საცხოვრებელთა კოლექტივები, რომლებიც წარმატებით შეასრულებენ ისეთ პირობებს, როგორიცაა: საერთო საცხოვრებლების კაპიტალური თუ მიმდინარე რემონტის მაღალხარისხოვანი დამთავრება და ზამთრისათვის საბინაო ფონდის მომზადება; ყველა ოთახის აღჭურვა საჭირო მაგარი და რბილი ინვენტარით საწოლის ტიპის საერთო საცხოვრებლების შესახებ დებულების შესაბამისად; საერთო სარეგებლობის ადგილებში სათანადო პირობების შექმნა (საშხაპეები, სამზარეულოები, თეთრეულის სარეცხი და გასაშრობი ოთახები და მათი მოწყობილობა, სანიტარიული კვანძები, ქალთა ჰიგიენის ოთახები ქალთა საერთო საცხოვრებლებში, სადაც 50-ზე მეტი ქალი ცხოვრობს), იზოლატორების შექმნა (2 საწოლი 100 კაცზე), აგრეთვე საჭირო ინვენტარითა და მოწყობილობით მათი აღჭურვა; თითოეულ მცხოვრებზე სანიტარიული ნორმების დაცვა, სასადილოსა თუ ცხელკერძიანი ბუფეტის მოწყობა იქ, სადაც ცხოვრობს 300-ზე მეტი კაცი; დათქმული გადებში ლოგინის რეგულარული გამოცვლა, რეცხვა და დეზინფექცია; საერთო საცხოვრებლის ტერიტორიის კეთილმოწყობა (ბაღმწვანება, სპორტული თამაშების მოედნების მოწყობა, სკამების დადგმა და სხვ.), დერეფნებში ტიტანებისა თუ ადუღებული წყლის ავზების დადგმა; ოთახებისა და საერთო სარგებლობის ადგილების სანიმუშო სანიტარიული მდგომარეობა; შინაგანაწესის დაცვა; საცხოვრებელი ოთახების, წითელი კუთხეების, დერეფნებისა და საერთო სარგებლობის სხვა ადგილების მხატვრული გაფორმება: მაგიდის თამაშობებით, გაზეთებით, ჟურნალებით, წიგნებით, წითელი კუთხების უზრუნველყოფა; საერთო საცხოვრებლის საბჭოსა და აღმზრდელების მუშაობის აქტივიზაცია; საერთო საცხოვრებელში ოთახის საუკეთესო მოვლისათვის მცხოვრებთა მუდმივი შეჯიბრების მოწყობა; საერთო საცხოვრებელში მცხოვრებთათვის პოლიტიკურ და სანიტარიულ-საგანმანათლებლო თემებზე ლექციების, მოხსენებების, საუბრების სისტემატური მოწყობა; თეატრებში, კინოში, ბუზეუმებში და გამოფენებზე კოლექტიური ხვლის ორგანიზაცია; წითელი კუთხეების, მოძრავი ბიბლიოთეკების შექმნა, მუშათა და მოსამსახურეთა ჩაბმა მუშა ახალგაზრდობის საღამოს სკოლებსა და სხვა სასწავლებლებში, მხატვრული თვითმოქმედების წრეების, ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის ორგანიზაცია, სპორტული მოედნების მოწყობა.

დათვალიერების გამარჯვებულთათვის დაწესებულია პრემიები: 2 პირველი პრემია — 200 მანეთი თითოეული, 3 მეორე პრემია — 150 მანეთი თითოეული და 5 მესამე პრემია — 100 მანეთი თითოეული. გარდა ამისა, საერთო საცხოვრებლების კოლექტივები და აქტივისტები დაჯილდოვდებიან საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სპეციალური სიგელებით.

უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილება

ნიუ-იორკი, 15 დეკემბერი. (საკადესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ 14 დეკემბერს მიიღო გადაწყვეტილება, რომ 1974 წლის 15 ივნისამდე გაგრძელდეს კვიპროსში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მშვიდობის დაცვის საერთაშორისო ძალების ყოფნის ვადა. ეს გადაწყვეტილება მიღებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოხსენების საფუძველზე და კვიპროსის მთავრობის თანხმობით.

დანიშვნები უნგრეთში

ბუდაპეშტი, 15 დეკემბერი. (საკადესი). როგორც უნგრეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმმა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მდივანი **ფრიდიუშ პუია** დანიშნა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრად.

პრეზიდიუმმა **იანოშ პეტერი** გაათავისუფლა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობისაგან სხვა დიდმნიშვნელოვან საზოგადოებრივ სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით და მადლობა გადაუხადა დამსახურებისათვის.

შრომა და კაპიტალი

მოითხოვენ სოციალურ რეფორმებს

იტალიაში ძლიერდება საგაფიცო მოძრაობა. მშრომელები იბრძვიან სამუშაოთი უზრუნველყოფისათვის, სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ქვეყნის სამხრეთი რაიონების აღორძინებისათვის.

იტალიის ქალაქებში სულ უფრო ხშირად იმართება ღატაკთა, გლეხებისა და მუშების მასობრივი დემონსტრაციები და მიტინგები უმუშევრობის წინააღმდეგ, სახელმწიფოში სოციალური და ეკონომიური რეფორმების განხორციელებისათვის.

სურათზე: გლეხებისა და მუშების მრავალათასიანი დემონსტრაცია რომში.

საკადესის ფოტო.

რით დამთავრდა ნატოს საბჭოს სესია

ბრიუსელი, (საკადესი). ევერში ნატოს შტაბ-ბინაში მუშაობა დაამთავრა ნატოს საბჭოს სესიამ, რომელიც მიმდინარეობდა საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე.

გამოქვეყნებულ კომუნიკეში გაშუქებულია პოზიციები ზოგიერთ განსახილველ საკითხზე. კერძოდ, კომუნიკეში აღნიშნულია, რომ სესიის მონაწილეებმა დადასტურეს თავიანთი ქვეყნების მთავრობების მხარდაჭერა უშიშროების საბჭოს რეზოლუციისადმი ახლო აღმოსავლეთის შესახებ და განაცხადეს, რომ დაინტერესებულნი არიან „სამართლიანი და მტკიცე მოწესრიგების უზრუნველყოფით“ ამ რაიონში. მათ აღნიშნეს საზავო კონფერენციის მოწყობის გზაზე მიღწეული პროგრესი.

კომუნიკეში ნათქვამია, რომ ამ ქვეყნებს განზრახული აქვთ „საერთო კონსტრუქციული მოლაპარაკება ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებისადმი მიძღვნილ თათბირზე“, აგრეთვე ნათქვამია, რომ ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალების და შეიარაღების ურთიერთშემცირების შესახებ მოლაპარაკება „საქმიან ატმოსფეროში მიმდინარეობს“.

თუმცა კომუნიკეში ხაზგასმულია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის ქვეყნების ურთიერთობის ახალი ერთობლივი დეკლარაციის — ეგრეთწოდებული, ახალი „ატლანტიკური ქარტიის მომზადებას, მაგრამ, როგორც პრესის ცნობებიდან ჩანს, სესიის მუშაობაში არსებითი ადგილი დაიკავა ნატოში უთანხმოებათა განხილვამ, რომლებიც განსაკუთრებით გამწვავდა ამ ბოლო დროს.

საინფორმაციო საagენტოებს მოჰყავთ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჰ. კისინჯერის გამოსვლა სესიაზე, რომელშიც იგი უსაყვედურებდა თავის მოკავშირეებს, რომ არ დაუჭერეს მხარი ვაშინგტონის პროისრაელურ პოზიციას ახლო აღმოსავლეთში ოქტომბრის კრიზისის დროს. ჰ. კისინჯერი **ამტკიცებდა, რომ ტრანსატლანტიკური თანამშრომლობა ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის ქვაკუთხედია.**

სოფრანგეთის პრესას მოჰყავს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მ. ჟობერის განცხადებანი, რომელმაც სკეპტიკიზმი გამოთქვა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მიერ ნატოს ქვეყნების ურთიერთობის შეფასებისა და, კერძოდ, მისი იმ განცხადების გამო, რომ ნატო უწინდებურად ვაშინგტონის პოლიტიკის ქვაკუთხედი იქნება. **დაიმნმა რა შეერთებული შტატების მიერ არაბეთ-ისრაელის ომის დროს თავისი შეიარაღებული ძალების მზადყოფნის გადიდება, საფრანგეთის მინისტრმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ეხოდენ დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების ნატოელ ევროპელ პარტნიორებთან კონსულტაციების გარეშე.** განგაში, რომელიც 24 ოქტომბერს ღამით გამოცხადდა ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის შედეგად, თქვა მინისტრმა, იხებოდა ევროპის ქვეყნების კავშირსაც, რამდენადაც კონფლიქტს მოჰყვა შედეგები აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობისათვის. აქედან გამომდინარეობდა კონსულტაციების საჭიროება. მ. ჟობერმა მოიწოდა „სერიოზულად გააანალიზონ კავშირი პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით“, უზრუნველყონ კავშირის მომავალი და დაიზუსტონ მისი მიზნები.

□

პრეზიდენტის არჩევნების გამო

ბონი, 15 დეკემბერი. (საკადესი). თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ფედერალურმა გამგეობამ მიიღო გადაწყვეტილება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე დასახელოს ამ პარტიის თავმჯდომარის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ვიცე-კანცლერისა და საგარეო საქმეთა მინისტრის ვალტერ შეელის კანდიდატურა. ეს განაცხადა ბუნდესტაგში თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ფრაქციის თავმჯდომარემ ვოლფგანგ მიშნაიმა.

როგორც ცნობილია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ახლანდელმა პრეზიდენტმა გ. ჰაინემანმა ამას წინათ განაცხადა, რომ აღარ იყრის კენჭს სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები დანიშნულია 1974 წლის 15 მაისს.

ცხრა ქვეყნის დეკლარაცია

კოპენჰაგენი, 15 დეკემბერი (საკადესი). აქ გამოქვეყნდა „საერთო ბაზრის“ წევრი ცხრა ქვეყნის დეკლარაცია სახელწოდებით „ევროპის სახე“. ეს დეკლარაცია მოიწონა და დაამტკიცა ევროპის ეკონომიური გაერთიანების ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების თათბირმა, რომელიც აქ მიმდინარეობს.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „საერთო ბაზრის“ წევრები ისწრაფვიან შეინარჩუნონ თავიანთი ერთიანობა და მომავალი განვითარების ძირითადი მიზნები იმ სახით, როგორც ისინი განსაზღვრეს ჰაიგასა და პარიზში გამართულმა თათბირებმა „უმაღლეს დონეზე“. პოლიტიკურ დარგში ისინი დცსდებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი „ბრძნონ „გაერთიანებული ევროპა“.

ევროპის ეკონომიური გაერთიანების წევრი ცხრა სახელმწიფო აცხადებს, აგრეთვე, რომ განზრახული აქვთ თავიანთი ურთიერთობის მთელი კომპლექსი მიმდინარე თთწლეულის დამლევამდე გარდაქმნან „ევროპის კავშირად“.

□

რეპლიკა

ელჩი პროვოკატორის როლში

როგორც ცნობილია, ქვეყნები დიპლომატიურ წარმომადგენლებს ცვლიან რათა იქონიონ და განავითარონ ნორმალური სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობა, მაგრამ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩმა ტოკიოში ჩენ ჩუმს სხვა ამოცანა აქვსრა. მან გადაწყვიტა თავისი ყოფნა იაპონიაში გამოიყენოს იმისათვის, რომ ამ ქვეყნის ხალხი წაარჩუნოს მის მეგობარ მეზობელ ხალხთან ურთიერთობა. ამ მიზნით ჩინეთის დიპლომატი ხელიდან არ უშვებს არც ერთ შემთხვევას და ერთი მეორეზე ანავავებს ცილისმწამებლურ გაცხადებებს სსრ კავშირის მისამართით.

მართალია, თავის ლაყბობაში ჩენ ჩუ ორიგინალური არ არის. გამოდის რა პროვოკატორის როლში, იგი ძირითადად იმეორებს იმას, რასაც უკვე დიდი ხანია გაჟღერიან პეკინში. მაგრამ ერთი საქმეა, როცა მაოისტები ანტიხაბეთოთა აურზაურს ტეხენ თავიანთ ქვეყანაში, ხოლო სულ სხვა რამეა, როცა ისინი ამას სჩადიან უცხოეთის ხალხმწიფოს ტერიტორიაზე და ბოროტად იყენებენ მასპინძლობას, რომელსაც მან უწევენ.

იაპონიაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ოფიციალური დიპლომატიური წარმომადგენლის პროვოკაციული განცხადებანი კიდევ ერთხელ მოწმობენ პეკინის განზრახვას მოწამლოს საერთაშორისო ატმოსფერო შორეულ აღმოსავლეთში იმ იმედით, რომ ეს გააადვილებს მაოისტთა ჰეგემონისტური ზრახვების რეალიზაციას ამ რაიონში.

ბ. ბირიუკოვი,
საკადესის მიმომხილველი.

ახლო აღმოსავლეთი

ისრაელი არღვევს შეთანხმებას

ნიუ-იორკი, 15 დეკემბერი. (საკადესი). 10 და 11 დეკემბერს ისრაელმა კვლავ რამდენჯერმე დაარღვია შეთანხმება ახლო აღმოსავლეთში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, იტყობინებიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანგებო ძალების პატრულები და მეთვალყურეები.

ეგვიპტე-ისრაელის სექტორში ისრაელის ნაწილებმა ამ დღეებში ნაღმსატყორცნის, ტყვიამფრქვევისა და სასროლი იარაღის ცეცხლი დაუშინეს ეგვიპტის პოზიციებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სავანგებო ძალების ავსტრიის, ფინეთისა და შვეიცის კონტინგენტების განლაგების რაიონებში. 10 დეკემბრის ისრაელის ჯარების ქვეგანყოფილებამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სავანგებო ძალების ირლანდიის კონტინგენტის განლაგების რაიონში წინ წამოწია და გასცდა წინანდელი პოზიციების ფარგლებს. შვეიცის კონტინგენტის პატრულებმა 11 დეკემბერს აღნიშნეს, რომ ისრაელის რეაქციულმა თვითმფრინავმა დაარღვია ეგვიპტის საჰაერო სივრცე.

სირია-ისრაელის სექტორიდან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეი იტყობინებიან, რომ 11 დეკემბერს ცეცხლის შეწყვეტის ხაზის მთელ რიგ უბნებზე ისრაელის ჯარებმა არტილერიისა და ტყვიამფრქვევის ცეცხლი დაუშინეს სირიის პოზიციებს. იმავე დღეს ისრაელმა ნაღმები დაუშინა ლობანის ტერიტორიას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამეთვალყურეო პუნქტის განლაგების რაიონში.

დამასკო, 15 დეკემბერი. (საკადესი). 14 დეკემბერს ისრაელის ჯარებმა სამგზის დაარღვიეს შეთანხმება სირიის ფრონტზე ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. ეს განაცხადა სირიის სამხედრო სარდლობის წარმომადგენელმა. ისრაელის ქვეგანყოფები რამდენჯერმე შეეცადნენ წინ წაეწიათ სირიის ჯარების მოწინავე პოზიციების მიმართულებით ფრონტის ჩრდილოეთ და ცენტრალურ უბნებზე, მაგრამ წაეწყდნენ სირიის არტილერიის ცეცხლს და იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ, ამასთან მოუვდათ ცოცხალი ძალისა და ტექნიკის ხარალი.

ქარიკატურისტის კომენტარი

ისრაელი კვლავ ჯიუტად არიღწევს თავს ამა წლის 11 ნოემბრის ომის შესრულებას, რომელიც ითვალისწინებს ჯარების დაბრუნებას პოზიციებზე, რომლებიც მან ეპყრა 22 ოქტომბერს.

ისრაელის „ურყევი“ პოზიცია.

გ. ლომიძის ნახატი.

ჰეილ ესროლეს

...რამდენიმე დღის წინათ სახელგანთქმული ბრაზილიელი ფეხბურთელის პელეს სახლის ფანჯარას ტყვია მოხვდა. თვით პელე ფიქრობს, რომ ეს „შემთხვევითია“, მაგრამ ქალაქ სანტოსის პოლიციელები ესოდენ ოპტიმისტურად როდი არიან განწყობილი. მათ უკვე აქვთ მეორე გამოუძიებელი საქმე, სადაც დაზარალებული მხარე ისევ პელეა. მისი სახლის ეზოში ერთხელ უკვე შეაგდეს ბომბი.

კიდევ კარგი, ორივე შემთხვევა ბედნიერად დამთავრდა. არათუ ადამიანის მსხვერპლი, არამედ მატერიალური ზარალიც კი არ ყოფილა: ტყვიის, რომელიც ფანჯარას მოხვდა, მინა არ ჩაუმსხვრევია: პელეს სახლში ტყვიაგამძლე მინებია.

სხვათა შორის, ეს სახლი დაშვრალებთან აღწერა ბრაზილიის გაზეთმა „ერონალ დი დებატისმა“. პელე თავის თაყვანისმცემლებს დაეშალა სახლში, რომელიც ციხე-სიმაგრეს უფრო ჰგავს, წერდა გაზეთი. სახლი დგას მიწის დიდ ნაკვეთზე და სამი მხრიდან შემოვლებული აქვს ღობე. მეოთხე მხარე ოკეანეს გაჰყურებს. მას აქვს პლაჟი, აუზი, ჩოგბურთის და... პატარა ფეხბურთის მოედანიც კი. ღობე აღჭურვილია სიგნალიზაციის სისტემით. სახლის მთელი მიდამოები ჩანს სატელევიზიო დანადგარებში. როგორც ხაზგასმით აღნიშნავდა „ერონალ დი დებატისი“, ბრაზილიის ყველა ბანკს როდი აქვს დაცვის ესოდენ სრულყოფილი სისტემა.

რა თქმა უნდა, ეს ციხე-სიმაგრე პელეს არ აუშენებია ფეხბურთის თამაშით მიღებული შემოსავლით. მას მოგება აქვს სხვა საქმეებისაგან, რომლებსაც საერთო არა აქვთ რა სპორტთან. იგი განურჩევლად ყიდის თავის სახელს, რომელსაც რეკლამისთვის იყენებენ სხვადასხვა ფირმები. სიტყვა „პელე“ წარწერილია ყავის ქილებზე, ჯიბის ფარნის ბატარეებზე, მამაკაცის ტანსაცმელზე, ველოსიპედებზე, ფარად ტელევიზორებსა და უამრავ სხვა საქონელზე. პელემ კანტრაც კი გასწია თავის მოგების საანგარიშოდ და ადიოკატი დაიქირავა გარიგებათა დასადებად.

მას შემდეგ, რაც პელე საქმოსანი გახდა, ბრაზილიაში იგი სულ უფრო ნაკლებად პოპულარული ხდება, ზოგიერთი კი მას უკვე ანტიპატიითაც კი ეკიდება. ყოველდღიურად პელე იღებს მრავალ წერილს და ბევრ მათგანში მას პირდაპირ ემუქრებიან. გამორიცხული არ არის, რომ სწორედ ამ მუქარის შესრულებას უპირებდნენ, როცა ბომბი შეუგდეს და ტყვია ესროლეს მისი სახლის ფანჯარას...

ბ. შჩერბაკოვი,
(საკადესის კორ.).

რიო-დე-ჟანეირო.

ჯაზი როდარი (იტალია)

კატებთან ყოფნა უკეთესია

ზღაპარი მოზრდილთათვის

ანენსიონერმა ანტონიო რკინიგზის სადგურის უფროსად ნამუშევარი კაცია. შინ შვილიცა ჰყავს, რძალიცა და შვილიშვილებიც — თავისი მოსახელე ანტონიო და კუდრაჭა დინეელა, მაგრამ პაპა გინდ ყოფილა და გინდა არა, არავინ არაფრად აღარ აგდებს.

— მახსოვს, წინათ, — დაიწყებს ანტონიო პაპა მოყოლას, — პოჯიბინსის სადგურში რომ ვმუშაობდი...

— დაიცა, მამა, რა დროს ეგ არი, — შეაწყვეტინებს შვილი. — ნუთუ ერთი წყნარად ვერ უნდა წავიკითხო გაზეთი? ვენესუელის მთავრობა შავ დღეშია, გადადგომაზე აქვს საქმე.

ანტონიო პაპა ახლა რძალს მიუბრუნდება:

— კარგად მახსოვს, ჯერ კიდევ გალარატეს სადგურში...

— მამა, — სატყვას აწყვეტინებს რძალი, — გადი, გარეთ არ გირჩევნია? სუფთა ჰაერს მაინც ჩაყლაპავ. ხო მიყურებ, იატაკს ვაპრიალებ.

ანტონიო პაპა ვერც თავის მოსახელე შვილიშვილს უბამს ლაპარაკს. ის უკვე თექვსმეტი წლის ბიჭია და პაპისათვის სადა სცალია, გამწარებული ჩასცქერის ნათხოვარ წიგნს, რომლის წაკითხვაც თვრამეტ წლამდე მიზანშეწონილად არ ითვლება.

მაგრამ პაპა ფარ-ხმალს არა ჰყრის. პატარა შვილიშვილის იმედი აქვს, დანიელასი. გოგო უფრო მოსიყვარულეაო, ფიქრობს. ადრე, სადგურის უფროსად რომ მუშაობდა, თავის ქუდს დაახურავდა ხოლმე, როცა დანიელა ბიჭებს მატარებლების დაჯახობანას ეთამაშებოდა. დანიელა ტელევიზორს თვალს არ აშორებს, ისე ეუბნება:

— რა მოგივიდა, პაპა, ვერ უყურებ, აღზრდის ამბებზეა გადმოცემა! ბოლომდე მაყურებინე!

დანიელა ჯერ ექვსი წლისაა, მაგრამ უკვე იცის აღზრდის ფასი. პაპა ანტონიო გულმოკლული ამოიოხრებს.

— ჰაი, დედასა! კარგა გატყობთ ადარავის არ გინდივართ ორმოც წელიწადს რკინიგზაზე ნამუშევარი კაცი. არ გინდივართ და, რა ვქნა, ავდგები და სულაც კატებთან წავალ ერთხელაც, მართლა ადგა და წავიდა შინიდან. ლოტოს სათამაშოდ მოვიდეარო, დაიბარა, მაგრამ ბრის ლოტო, რა ლოტო, არჯენტინოს მოედნისაკენ გასწია. იქ, ძველი რომის ნანგრევებში, თვლა არა ჰქონდათ კატებს. ანტონიო პაპა კიბეებს ჩაჰყვა, გადაძვრა რკინის მოაჯირზე, საკატეოს ავტომობილებით გაპეფდილი ქუჩისაგან რომ ჰყოფდა, და კატად გადაიქცა. ერთი გაიხედ-გამოიხედა, დაჯდა და თათების ლოკვა დაიწყო: ამ ახალ ცხოვრებაში ადამიანისშვილთა ფეხის ბუტყი ოა მტკივარი არა შემყვეს რაო.

სწორედ ამ დროს იქვე ერთმა ჯაეუცულმა კატამ ჩამოიარა და თავი თვალში გაუყარა, უცქირა, უცქირა და ჰკითხა:

— ბოდიში, სინიორ, მაგრამ თქვენ ანტონიო არა ბრძანდებით? მე ის პენსიონერი ანტონიო პაპას. კატადქცეულ სადგურის უფროსს პირველად ხედავდენ და ყველას ერთი სული ჰქონდა გაეგო, რა იყო, რა ხდებოდა მატარებლებში, მეორე კლასის სპირფარეშოებში რატომ არასოდეს არა დევს სპეინი და ა. შ.

როცა მოსაღამოვდა და ცაზე ვარსკვლავებმა აკიაფდნენ, კატა-მასწავლებელი ლექციის კითხვას შეუდგა ასტრონომიის ხაზით.

— აბა აიხედეთ მაღლა, — მიმართა კატებს. — აგერ იმ თანავარსკვლავედს დიდი დათვის თანავარსკვლავედი ჰქვია. ახლა აქეთ შემობრუნდით და მარჯვნივ გაიხედეთ, ის თხის რქაა. მერე თვეზი მოდის, თევზს კირჩხიბი და ღრიანკალი მოსდევენ.

— მთელი ზოოპარკი ყოფილა! — სიტყვა შეაშველა კატა-მეეზოვემ.

— აგერ ის კი ძაღლის თანავარსკვლავედია...

— კარგი, კარგი! — გაისმა აქეთიქიდან. — კატის თანავარსკვლავედი თუა. შენ ის გვითხარი!

— არა, კატისა არ არის, — უპასუხა მასწავლებელმა.

— უყურე ერთი, ძაღლისა და ორისა ყარი და მაინდაღამაინც კატისა გამორჩენიათ!

კატებმა პროტესტის ნიშნად ბანების მოლოდინში თავიანთ ძველ კუთხე-კუნჭულთან დაუბრუნდნენ. ანტონიო პაპა და კატა-მასწავლებელი არჯენტინოს მოედნისაკენ გაეჩქარნენ და გზაში თან მომავლის გეგმებს აწყობდნენ.

— რა კარგი რამ იქნებოდა, — ეამოიანებოდა კატა-მასწავლებელ მ ა, — წამიდა პეტრეს ტაძრის თაღი კუდაპრეხილი კატებით რომ მოეხატა!

ის იყო, სინიორ ანტონიომ კვერის დაკვრა დააპირა, ცუდი არ იქნებოდაო, რომ საადანღაც ხმა შემოესმა:

— პაპა, პაპა!

პაპაო? ნუთუ მართლა დანიელაა? ის არი, ნამდვილად ის არი. სკოლიდან მომავალმა იცნო პაპა და დაეხმაურა. მაგრამ ანტონიო პაპა უკვე მიეჩვია კატად ყოფნას და თავს ისე იგრძნო, ვითომ ვერც დაინახა თავისი კუდრაჭა შვილიშვილი.

— ცუდი კაცი ხარ, პაპუკა, ცუდი, ორი დღეა დაგეძებ, სად გაგვეპარე?

— რა ლამაზი გოგოა, — ამბობს კატა-მასწავლებელი, — რომელ კლასშია ნეტავი! კარგი ხელი თუ აქვს? ფრჩხილებს ხომ იწმენდს ხოლმე? მაგას აღბათ არ უყვარს საპირფარეშოს კარების ჯაბნა...

— ტყუილია, მაგისთანა გოგო მეორე არ დადის ქვეყანაზე, — ეუბნება, ცოტა არ იყოს, შეშფოთებული ანტონიო პაპა. — წავალ, სახლამდე მივაცილებ, თორემ მეშინია, სადმე უადგილო ადგილას არ გადავიდეს.

— გასაგებია, გასაგები, — კნავის კატა-მასწავლებელი, — მუც წამოვალ, ჩემს დას შევეკვეული. საწყალს ალბათ ისევ სახსრების ანთება აქვს და თავისთან ფეხზე ვერ იცვამს.

— წამო, მალე წავდეთ, პაპა! — უბრძანებს დანიელა.

შინდაბრუნებულმა კატა სინიორ ანტონიომ თავის საყვარელ საბრძოლო მოიკალთა და მისაღების ნიშნად ყურები გამოიბერტყა.

— პაპამ ყურები გამოიბერტყა, პაპამ ყურები გამოიბერტყა, — შეაყვირა გახარებულმა დანიელამ.

— კარგი, კარგი, გეყოფა, — დაუტიეს შეებუნებულმა მშობლებმა, — მალე, მიდი, მაგიდას მიუჯექი.

რაც კი რამ საუკეთესო იყო, ყველაფერი კატადაქცეულ პაპას ეწოდუკიც, დამტკბარი რიეც, ბისკვიტიც, ხრუნველს და ალერსს ხომ ნუღარ იტყვით. ხან — აბა, როგორ კრუტუნებსო, შესაციინებდნენ, ხან — თავის ჩამორთმევა თუ იცისო, ხელს ართმევდნენ, ხანაც ყურებსა ფხანდნენ, ანდა თავქვეშ ფუმფუტა ბალიშს უდებდნენ და ნახერხიც კი მოიტანეს, საჭირო ადგილი გაუმართეს.

ნასადილევს პაპა აივანზე გავიდა. მოპირდაპირე სახლის აივანზე, კატა-მასწავლებელი იდგა და იადონებს უთვალთვალებდა.

— როგორ არი საქმე? — ჰკითხა ანტონიო პაპამ.

— უკეთესს ვერ ინატრებ, — უპასუხა კატა-მასწავლებელმა. — ჩემი და ისე მექცევა, რაღა მე და რაღა რომის პაპის ცოლი.

— მერე უთხარი, ვინც ხარ?

— ვუთხრა რა, სულელი ი არ ვარ. რო გამიგოს, ეგრევე საგიჟეთში გამაგზავნის. ესლა კი საწყალი დედაჩემის ნაქონი საბანი მხურავს. წინათ ზედაც არ მახედებდა. შენ რასა შვრები? როგორ გიკითხო?

— ყოფნით, იცოცხლე, მეც არა ნიჭირს რა, მაგრამ ადარ ვიცი, რა ვქნა. დანიელა სულ იმას მეხვეწება, ისევ პაპა გახდიო, თანაც სუფველა კეთილად მექცევა.

— არ გაგიჟდე და მართლა არ დაუჯერო! ეგ იგივეა, ნაპოვნი განძი წყალში რო გადაყარო.

— რა ვიცი, — გაიმეორა ანტონიო პაპამ. — ეჰ, ერთი ტოსკანური სიგარა მომაწევინა ეხლა, ნახევარი მაინც...

ასე იყო თუ ისე, ადგა ბოლოს ანტონიო პაპა და წავიდა არჯენტინოს მოედანზე, მივიდა ისევ იმ რკინის მოაჯირთან და ახლა იქიდან აქეთ გადმოძვრა. გადმოძვრა და კატა კვლავ ბეჩიკაცად გადაიქცა. ბერიკაცს ხელთ სიგარა ეჭირა და ცეცხლს უკიდებდა.

შენ რომ მივიდა, ანტონიო პაპას გუოს სულ ბაგაბუგი გაქქონდა. პაპის დანახვაზე დანიელა ლამის გადაირია სიხარულით. მოპირდაპირე სახლის აივნიდან კი კატა-მასწავლებელმა ცალი თვალით გამოხედა და დაიკრუტუნა:

— ვაი შე სულელო, შენ!

თარგმნა ბ. ბოგიანშვილმა.

ცეცვის მსხვერპლი

უველაზე გამძლე მოცეკვავის გამოვლინებისათვის სტენლორში, რომელიც ნიცაშია ჯაიპარში, — გამართეს წელიწადი ადრე. ერთნაირ ვერსიას, თვის მარტოხელა ქალთან ერთად ბინა შეიუყვარტლავ იცეკვა 97 საათს 14 წუთსა და 19 წამს. გამარჯვებული დაფნის გვირგვინით შეამკეს და გადასცეს პრემია ორი ათასი ფრანკის ოდენობით. მაგრამ, როგორც დასავლეთგერმანული გაზეთი „ფორვერტსი“ იუწყება, ამ პრემიით ისარგებლებენ მხოლოდ საცეკვაო მარათონში გამარჯვებულის მემკვიდრეები, ვინაიდან ჭილდოს მიღებიდან რამდენიმე წუთის შემდეგ მერსიე „გარდაიცვალა“ გულის სიდამბლით.

ავტობიოგრაფიული გაზეთი

„კურიერ დოლიმენტე“ — ასე ეწო

ფუძედალოცვილი

თბილისის მ. ბაქანიძის სახელობის მე-3 სამუსიკო სასწავლებელი 50 წლისაა

სურათებზე: ზემოთ მარცხნივ — რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი, სასწავლებლის დირექტორი ქსენია ჯიქია; მარჯვნივ — სასწავლებლის ვოკალური ანსამბლი შვიდკაცა; ქვემოთ (მარჯვნივ) — უკრავენ არფის კლასის მოსწავლეები, მარცხნივ — მეოთხე კურსის მოსწავლე ვალერი წერეთელი.

გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის მელიტონ ბალანჩივაძის სახელთან არის დაკავშირებული თბილისის ძველ სამრეწველო რაიონში ნაძალადევში მუსიკალური მუშაობის დაარსება. ეს იყო 1923 წელს. რამდენიმე წლის შემდეგ მუშაობის ბაზაზე ჩამოყალიბდა მუსიკალური სასწავლებელი, რომლის კედლებში თავის დროზე მოღვაწეობდნენ ზ. თალაშვილი, დ. არაყიშვილი, კ. ფოცხვერაშვილი, ი. ყარაბარეთელი, ე. მურადელი, ლ. ფალიაშვილი, შ. თაქთაქიშვილი და სხვები.

ფუძედალოცვილი სასწავლებელი ამჟამად მელიტონ ბალანჩივაძის სახელს ატარებს და ღირსეულად ემსახურება ახალგაზრდა პროფესიულ მუსიკოსთა კადრების აღზრდის საპატიო საქმეს. იგი დღეს არა მარტო ლენინის რაიონის, არამედ რესპუბლიკის კულტურის ერთ-ერთი მოწინავე კერაა.

დაარსებიდან დღემდე სასწავლებელმა აღზარდა ხელოვანთა მთელი პლეადა, რომელთაგან მრავალი სახელმოხვეჭილი მუსიკოსია, ბევრმა თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია. მათ შორის არიან კომპოზიტორები რ. ლაღიძე, ა. ჩიმაკაძე, ნ. მამისაშვილი, ვ. აზარაშვილი, ნ. ვაწაძე, გ. ყანჩელი, ალ. რაქვიაშვილი, ვოკალური ხელოვნების ოსტატები ლ. ბოციორიძე, პ. თომაძე, შ. კიკნაძე, ა. მიქაბერიძე, ნ. მიქელაძე, ლ. მიქაბერიძე, ნ. ტუღუში; ცნობილი შემსრულებლები სახელმწიფო პრემიის ლაურეატები ბ. ჭიაურელი და ალ. ბეგალიშვილი, რ. ბორელაშვილი, ნ. გვასალია, მ. ხატელიშვილი, თ. ჭიაურელი და სხვები.

ამ დღეებში მუსიკოსთა კადრების სამჭედლო მ. ბალანჩივაძის სახელობის მე-3 სამუსიკო სასწავლებელი ზეიმით აღნიშნავს დაარსებიდან 50 წლისთავს. ჩვენ ვთხოვეთ მუსიკალური განათლების ამაგდარს, საქართველოს სსრ დამსახურებულ პედაგოგს ქსენია ჯიქიას, რომელიც ავერ უკვე თითქმის მეოთხედი საუკუნეა სათავეში უდგას სასწავლებელს, მოეთხრო სასწავლებლის შესახებ, მის აღზრდილებზე:

— თუ ახლადდაარსებულ მუსიკალურ მუშაკაში სწავლობდა ოცდაათი მოსწავლე და მუშაობდა ათი პედაგოგი. ამჟამად სასწავლებელში დღისა და დაუსწრებელ საფორტეპიანო, სიმებიან. სასულე, ჯაზალურ და თეორიულ-საკომპოზიციო განყოფილებებზე 950 მოსწავლე ეუფლება მუსიკალურ ხელოვნებას. სასწავლებელში 280-მდე პედაგოგი მუშაობს. ისინი ენერგიის დაუზოგავად ცდილობენ მომავალი მუსიკოსები თუ პედაგოგები აზიარონ ჭეშმარიტ ხელოვნების სიყვარულს და შაალი პროფესიული შემოქმედის სულით აღზარდონ ისინი.

ჩვენი სასწავლებლის აღზრდილებს კი ხაბჭოთა კავშირის რომელ კუთხეში არ შეხვდებით. მაგალითად ჭ. ნოვოსიბირსკის ოპერისა და ბალეტის წამყვანი სოლისტია მ. კოზლოვსკაია, ლენინგრადის ფილარმონიის სოლისტია ნ. ხაუსტოვა, მოსკოვის კონსერვატორიის თეორიული ფაკულტეტის დეკანი, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი დ. არუთინოვი, ერევნის სპენდიაროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი ე. უუნუნიანი და სხვ.

სამუსიკო სასწავლებლის საპატიო ალბომში უამრავი ჩანაწერებია. ძნელია ყველა იმათი ჩამოთვლა ვინც სხვადასხვა დროს სწავლობა სასწავლებელს. სტუმრები ერთნაირად აღიარებენ მოსწავლეთა მაღალ პროფესიულ შესრულებასა და გემოვნებას.

რ. მუხიგულაშვილი.

ფელეტონი

რევიზორის ჯიკი

ყველა რევიზორს შემოწმების თავისებური მანერა აქვს. აგქსენტი ქათამაძე ბამიერშეიდა მის მიერვე საგულდაგულოდ დამუშავებული ხერხითა და მიდგომით. იგი შემოწმების ადგილზე ჩასვლისთანავე ჯერ იმ ოთახს შეამოწმებდა, სადაც რევიზიის დროს მოუხდებოდა ცხოვრება. გასაკვირს გაკანონებდა, მოსაცმელს მოაკანონებდა, ოთახს ახალი თვითრეულით შეამოსინებდა. ბორჯომის წყლის მარაგიც საკმაოზე მეტი უნდა ყოფილიყო. ქათამაძეს ზედმეტი სიმსუქნისგან გულის ფრიალი აწუხებდა და ბორჯომის საშუალებით ცდილობდა განკურნებას. ერთი სიტყვით, ისე მოიწყობოდა, თითქოს სარევიზიოდ კი არა, დასასვენებლად ყოფილიყოს იმ რაიონში ჩასული.

ყველა ამ მოსამზადებელი სამუშაოს დამთავრების შემდეგ აგქსენტი იმ ორგანიზაციის ხელმძღვანელს თავის ოთახში დაიბარებდა. კარებთან შეეგებებოდა, მხარზე ხელს დადებდეოდა, სკამზე დასვამდა და მერე გულაჩუყებული ხმით, ისე როგორც მოძღვარი ცოდვილს, ეტყოდა: „აბა ახლა კი მოყევი, შვილო. ცოდვანი შენი, თუ გიშვილის ვინმე, ისევ მარჯვენა მხარზე მოიდო პირთამდე გავსებული ჩიკი და ძუძუსავით გადმართა ტროლეიბუსის გაჩერებისაკენ. ბოლოს ლოდინით გაბეზრებულმა და სიცივისისგან შეშფოთებულმა ტიკი იღლიაში ამოიჩარა და ბუზღუნითა და წუწუნით გაკაჟა სახლისაკენ. ტიკითა თანდათან დაუმძიმდა. შეჩერდა, ცხვირსახოცით ოფლი მოიწმინდა, სუფთა პაერი ჩაისუნთქა და ტიკს დახედა.

— რამ დაგამძიმა, შვ ეშმაკო, ასე?! — უთხრა. მერე ისევ დასწვდა ტიკს და მოკლე-მოკლე ნაბიჯებით გაგარძელა გზა. პურის საცხობთან გული ყელში მოვიჯინა, ტიკი მიწაზე დაუშვა და შეისვენა. ჯიბიდან ყალიფოლი ამოიღო და ძუძუს მონატრებული გოჭივით დაუწყო წოვა.

„მივბარავ ამ ოხერს პურის საცხობში, მოვალ მერე ტაქსით და წავიღებ, რა იქნება“. ყაიფიერა აგქსენტიმ. მაგრამ მალე გადაიფიქრა. „ახლა ღვინო კი არა, ძმარი არ ენდობა ვინმეს“ — ჩაილაპარაკა და ტიკი ისევ მხარზე მოიდო.

არყისფერად იყო გათენებული, როცა აგქსენტიმ თავის სახლს მიაღწია. მეოთხე სართულზე აკანკალებული ხელით ძლივს კაკაღი ბინის კარი, ტიკი საწოლთან მიაწვინა და თვითონაც გვერდზე მიუწვა, მთლად ოფლში გაღვრილი და გასავათებული. კარგა ხანს იწვა ასე, მერე როგორც იქნა წამოდგა, ჭიქა აიღო და ტიკს თავი მოხსნა.

— ჰა, ხომ მაინც მოგიტანე სახლში. — ქათამაძემ მოკაპარულ ყელზე ბაწარი მოუშვა და ჭიქაში გადმოასხა. — ეს ღმერთმა შენ გაგიმარჯოს, აგქსენტი... — წამოთქვა ხმამაღლა და ჭიქა პირზე მიიკრა. რამდენიმე ყლუპის შემდეგ აგქსენტის კისრის ძარღვები დაიბერა, თვალები გადმოკარკალა და ხელიკა აუარკა.

რა არის, კაცო, ეს? არა მგონია, არა მეთქი! — აგქსენტიმ ჭიქა მაღლა ასწია და სინათლეზე გახედა.

— წყალია, შენ ბაღანალდი, ბერონტი იმედაძეს! — ქათამაძემ ჭიქა მაგიდაზე დაანარცხა, ჯიბეში ხელი ჩაიყო და კონვერტს წურბელასავით თითებით მისწვდა. გახია და იქ ფულის ნაკვალად ბარათი რომ დაინახა, გვერდზე გადაადგურთხა და კითხვა დაიწყო.

„აგქსენტი! გინდოდა ძველებსავით გაგეძრო ჩვენთვისაც ტკბილი. მაგრამ ვერ მოგართვით. ამ სამი კვირის განმავლობაში გაგვაძალეს, გაგვაწამა, ეკსპერტებით დაგვტანჯე, მაგრამ სუფთა კაცი ქვაზე მაგარია. მოკვდა ის დრო. ალბათ გეგონა ამ კონვერტში ფულს ჩაგიდებდით. ისე დაგიმშვენდა ცხვირი... მოგიხდება, შენ ნუ მოგვიკვდები. ისე იყავი, როგორც შენს სინდისსა და ბაჭიოსნებას შეეფერის.

დირექტორი იმედაძე“.

გაოგნებული აგქსენტი სკამზე მოწყვეტით დაეშვა.

ვ. მამუკელაშვილი.

დიდხანს რომ ვიცოცხლოთ...

მაშ, თავს გაუფრთხილდით, მამაკაცებო!

ცნობილი სიმღერა ოიმედოდ მოძღვეოდა: დღეს ათ გოგონაზე სტატისტიკის მიხედვით მოდის ერთი ბიჭი, არაგული ათნახევარი ბიჭუნა. მაგრამ მეჩანიკურად დაკარგა თუ არა თავისი მნიშვნელობა მოწმოდებამ, რომელიც ფარეთოდ ბაისმა პრესაში, „ბიოფრთხილდით მამაკაცებს!“ ყვლადაკი ეუნდა მოიკიდონ თავიანთ სათუთ მხრებზე სუსტი სქესის წარმომადგენლებმა ეს ზრუნვაც?

დაკუბრუნდეთ მიუკრძალებელ სტატისტიკას. თქმაბები ჯიუტია: ქალთა, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაა — 74 წელი, მამაკაცებისა — მხოლოდ 65 წელი. ბიჭები ახლაც მეტი იბადებიან: 105-106 ბიჭი 100 გოგონაზე. მაგრამ, რაც ეუფრო ეზრდებიან ისინი, ეს რაოდენობრივი განსხვავება სულ ეუფრო მცირდება: 16-19 წლის ასაკში 1000 ქალაშვილზე მოდის ეკვივ 1042 ბაბაკი, ხოლო 20-24 წლისათვის თვითეულ ათას ქალაშვილზე რჩება მხოლოდ თვრამეტი „ზედმეტი“ მამაკაცი.

მაშ რა „ბოროტი განება“ მოქმედებს აქ? რაშია საქმე?

ფიზიკურად მამაკაცი ფოლაცა, ეუდავა, ქალზე ფონეერია, ჩონჩხის, კუნთების სისტემის ანატომიური თავისებურებანი შესაძლებლობას აძლევენ თავი გაართვას მნიშვნელოვანი მეტ დატვირთვას: ყოლმკერი მას ეუფრო განიერი აქვს, ფილტვების სასიცოცხლო ტევადობა — ეუფრო მაღალი. აქსელერაციის მოვლენები თუმცა ორივე სქესის წარმომადგენლები ჯერჯერობით ძალებული არიან ძნელ საოჯახო შრომას მოანდომონ ერთნახევარჯერორჯერ მეტი დრო, ვიდრე მათზე ეუფრო ფონეერმა ქმრებმა, ძმებმა და ვაჟიშვილებმა. და დასვენებაც ქალებს ნაკლები აქვთ ორმაგი დატვირთვის გამო — წარმოებაში და სახლში. ვიღებთ პარადოქსულ მოვლენას: ზოგს შეიძლია, მაგრამ არ აკეთებს, სხვებს არ შეიძლებათ, მაგრამ აკეთებენ. როგორც ჩანს ეს მაინც ორივესათვის. მაგრამ შეიძლება მამაკაცებისათვის ეუფრო მეტად საოჯახო შრომისაგან ასეთი თვითგანთავისუფლება გავლენას ხომ არ ახდენს მათს საკუთარ ჯანმრთელობაზე? ისინი ხომ ბოლომდე ვერ იყენებენ მათთვის ბუნებით მინიჭებულ კუნთების ძალას.

საოჯახო შრომის განაწილების ეთანაბრობა, რა თქმა უნდა, მამაკაცთა ეუფრო მოცლა ნახევარფაბრიკატების მაღაზიებმა, სასადილოებმა, სამრეცხაოებმა, ქიმიურად წმენდის ქსელი, მშვენიერი სქესის წარმომადგენლები ჯერჯერობით ძალებული არიან ძნელ საოჯახო შრომას მოანდომონ ერთნახევარჯერორჯერ მეტი დრო, ვიდრე მათზე ეუფრო ფონეერმა ქმრებმა, ძმებმა და ვაჟიშვილებმა. და დასვენებაც ქალებს ნაკლები აქვთ ორმაგი დატვირთვის გამო — წარმოებაში და სახლში. ვიღებთ პარადოქსულ მოვლენას: ზოგს შეიძლია, მაგრამ არ აკეთებს, სხვებს არ შეიძლებათ, მაგრამ აკეთებენ. როგორც ჩანს ეს მაინც ორივესათვის. მაგრამ შეიძლება მამაკაცებისათვის ეუფრო მეტად საოჯახო შრომისაგან ასეთი თვითგანთავისუფლება გავლენას ხომ არ ახდენს მათს საკუთარ ჯანმრთელობაზე? ისინი ხომ ბოლომდე ვერ იყენებენ მათთვის ბუნებით მინიჭებულ კუნთების ძალას.

საოჯახო შრომის ეთანაბრობა, რა თქმა უნდა, მამაკაცთა ეუფრო მოცლა ზორს, დედა კი მუშაობს სამზარეულოში ან რაღაცას აკეთებს, რეცხავს, ეთმენს. ბავშვები კი, როგორც ცნობილია, ეგოცენტრიულია ერიან, თავიანთი სარგებლობა მათ ეარგად ესმით. ერთხელ მეტროში, მივსებინე მე-7-მე-8 კლასის მოწაფე გოგონების ლაპარაკი. ერთი მათგანი გულის ამანუყებლად ეუმბობდა მეორეს, როგორ ედგამს თეზს მისი პატარა ძმაკაცი, როგორ ეთამაშება მას და, ეუცბ, თითქოს სხვათა შორის, თქვა: „ეი გავთხოვდები, და როგორც კი გამიჩნდება შვილი, ქმარს გავიყრები. ძალიან ძნელია — ბავშვიც და ქმარიც...“

ოჯახში არაფრის კეთებას აქვს საკალაო თავისებურებაც — იგი წარმოშობს ეუფ მიდრეკილებებს, მაგრა ჩვენებს. მოზარდები ხშირად მიმართავენ იმას, რომ მაგალითად მოპაოეთ მამა სწორედ მაშინ, როცა ენდათ გაიმართლონ თავი, რატომ მონაწილეობას არ იღებენ ოჯახურ მუშაობაში ან იღრე ეჩვეიან თამაჩაოს და ოვინო-არაყის ნაწარმს. ზოგი მამა, სამწუხაროდ, საკალაო ეტალონი ხდება! ჩვენი ეკლეკტიკის მონაკეთებით, რომლებიც ჩვენტარეეთ რსფს ეფსუბლიკის ბევრ ქალაქში, ქალთა ნაბეჭარი არა ხვამს ალკოჰოლიან სასმელებს, მამაკაცთა შორის კი არამსმელი მხოლოდ 15 პროცენტია, ქალები, რომლებიც თამბაქოს არა სწევენ, დაახლოებით 90%-ია, ხოლო მამაკაცები — 40%. შვილებს, რა თქმა უნდა, შესაძლებლობა აქვთ მისაბაძად აირჩიონ დედაც და მამაც. მაგრამ დაგვიანებულმა, სატელევიზიო მაგრამ ეკრანებმა, ეუ ეკრანებმა ეუ ეკრანებმა, ეუ ეკრანებ

მაშ სად არის გამოსავალი?

არა, ქალები ნუ აჩქარდებიან „საბრალო“ მამაკაცის დასახსნელად. ისინი თვითონ უნდა ჩაფიქრდნენ თავიანთ თავს და დაე ყველამ გაიკითხოს თავისთვის დასკვნები. ერთმა უნდა მეტი იმოძრაოს, მიიტანოს სახლში პროდუქტები, მოაწყოს ლაშქრობები სამრეცხაოში და ქიმიურ წმენდაში, მოიმარჯოს მტვერსასრეტი, სარეცხი მანქანა, იატაკის საწმენდი; მეორე რაც შეიძლება მალე გადაეიდეს სატელევიზიო სპორტსმენობიდან ნამდვილ სპორტსმენობაზე: იგი უსათუოდ უკეთ „გამოიჩენს“ თავს ტურისტულ ლაშქრობაში, როცა მოუხმარება გვერდით მიმავალ ქალებს მთაზე ასვლაში, ეკეცხლოს დანთებაში, ეკარავის დადგმაში, მისამე...

ეარა, ძვირფასო მამაკაცებო, ჩვენ არ გვინდა მზა „ნოტები“ მოგცეთ. უკეთესია თვითეულმა თქვენგანმა დამოუკიდებლ ად დაწეროს ხაკუთარი ჯანმრთელობის პარტიტურა!

ლ. ლიპატოვა,
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი;

ე. ასლუცკაია,
ეკონომისტი.

(სანიტარული განათლების ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი).

— რას ეუბამ მაგ თმას ახალი წლის შემდეგ?

ეარმარეკის ნახატი.

ეკოლონური იუმორი

სტუდენტური ანეგდოტები

ვარშავის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორმა ლექციის დროს თავის ასისტენტს სთხოვა გადაეღო აუდიტორიის ფოტოსურათი. რამდენიმე კვირის შემდეგ, გამოცდაზე, პროფესორი თვითეულ სტუდენტს სთხოვდა — სურათზე თქვენი თავი მიჩვენეთო. პროფესორს, რა თქმა უნდა, ლექციაზე დასწრება სტუდენტის სიბეჯითის პირდაპირ დამამტკიცებელ საბუთად მიაჩნდა.

ვინც ლექციას არ ეესწრებოდა, ყველა ცდილობდა, როგორმე დაეძვრინა თავი და ამბობდა — აქ მსხდომთა შორის არ ვჩანვარ, რადგან დარბაზის შემოსასვლელთან უზარმაზარი ხვეტის უკან ვდგეეარო. როცა ასეთი ახსნა-განმარტება ბევრჯერ განმეორდა, პროფესორმა ერთ-ერთ სტუდენტს უთხრა:

— გეთაყვა, გადეცი შენს ამხანაგებს, რომლებსაც გამოცდა ჯერ არ ჩაუბარებიათ, რომ ხვეტს უკან ადგილი ალარ დარჩა!

ეურნალი „პოლსკოე ობოზრენიე“.

ჭადრაკი

გამოჩენილი-კომპოზიტორების ჭალეარია

ჰ. ბოლტონი

ინგლისელი პრობლემისტი ჯორაციო ბოლტონი (1793-1873), რომლის გარდაცვალებიდან 100 წელი შესრულდა, სამუდამოდ შევიდა კომპოზიციის ისტორიაში როგორც თანამედროვე საჭადრაკო ამოცანის ერთ-ერთი ფუძემდებელი. მისი მოღვაწეობის წლები ემთხვევა იმ პერიოდს, როცა ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში იქმნება საჭადრაკო პრეიოდიკა და ყალიბდება თანამედროვე ამოცანის თეორიული პრინციპები. ჰ. ბოლტონის ნაწარმოებებმა, უპირატესად მრავალსვლიანმა ამოცანებმა, საყოველთაო აღიარება მოუტანა კომპოზიტორს. აღსანიშნავია, რომ მისი ერთ-ერთი ამოცანა იმდენად პოპულარული იყო, რომ სამი წლის განმავლობაში ამშვენებდა XIX საუკუნის გამოჩენილი მოჭადრაკის ჰოვარდ სტაუნტონის საჭადრაკო ეურნალ „ჩეს პლეიერს კრონიკლ“-ის გარეკანს.

ბოლტონის შემოქმედება თავის დროზე ახალი სიტყვა იყო კომპოზიციაში. კერძოდ, მან პირველმა შეიცნო „წყნარი სვლის“ ფასი და სილამაზე, რომელიც ნაწარმოების არსებით ესთეტიკურ ელემენტს წარმოადგენს. მისი ამოცანების მნიშვნელოვანი რაოდენობა სწორედ ამ ელემენტზეა აგებული, რაც ძლიერ მთაბეჭდილებას ახდენდა ამომხსნელებზე.

მკითხველებს ვთავაზობთ კომპოზიტორის საყოველთაოდ ცნობილ ნაწარმოებს — ოცდაოთხსვლიან ამოცანას. იგი ავტორმა 1850 წელს გამოაქვეყნა „ხრახნის“ სახელწოდებით და მიუძღვნა მისი შემოქმედების დიდ პოპულარიზატორს ჰ. სტაუნტონს. მართლაც, ამოხსნა, რომელიც ლაზიერის ფორსირებული ზიგზაგისმაგვარი სვლებით სორციელდება, თავისი გეომეტრიული მოთრაობით ხრახნის მოქმედებას გვაგონებს და ერთ-ერთი პირველი ნაწარმოებია „კობის“ თემაზე.

ვ. ნეიძე.

ჰ. ბოლტონი, 1850



შამათი 24 სვლაში
ვლით თქვენს პასუხებს მეგობრებმ!

ვინ ამოხსნა

„კომუნისტის“ 18 ნოემბრის ნომერში დაბეჭდილი ი. კრიხელის ამოცანა (**მფა1, ლb1, ეe2, ბb2, e3, h5 — მფა4, ეh4, ეh2, ეh7, მf2, ბc4, d8, d7, e7, g8.** შამათი 9 სვლაში) შემდეგნაირად იხსნება: **1. a3 c3 2. e4 მფა5 3. a4 ეh5 4. e5 მფა6 5. a5 ეh6 6. e6 ეe6 7. ეe6+ მფა7 8. ეa6+**

ვაქებენ ამათ ვვარებს, რომლებმაც პირველებმა გამოგვიგზავნეს ზუსტი ამოხსნა: ა. სიხარულიძე (ჩოხატაურის რ. ჩაისუბანი), რ. გიორგაია (ზესტაფონის რ. ქვედა სალარა), მ. ახალაძე (წყალტუბოს რ. ოფურჩხეთი), თ. გოგოხია, მ. ქაქუთია, მ. ჭუკანა (ყველა — ზუგდიდი), მ. გამყრელიძე (გუდაუთის რ. ახალი სოფელი), მ. კუტანაძე (ორჯონიკიძე), ბ. და ვ. ქობალიები (ზუგდიდის რ. კორცხელი), გ. კიუნაშვილი, ა. ოორამაშვილი (ორიეე — გორი), ბ. მჭედლიძე (თელავი), რ. ჭალაგანიძე (გეგეჭკორი), ს. თოთლაძე (ქარელის რ. ქვეშატაკეა), რ. ნოხაძე (ლანჩხუთის რ. ალანა), რ. ღებიანური (ახმეტის რ. ბაყალოვანი), ვ. სუბატაშვილი (რუსთავი), ზ. თამბაგარი, რ. ნებიერიძე (ორიეე —, ზესტაფონი), ბ. სანაკიძე (სოხუმი), ვ. ლანავა (წყალტუბო). ვ. შენგელია (ქუთაისი), ვ. ბუმბერიძე (თერჯოლის რ. ზედა სამონვეთი), ნ. ერემაძე, ა. ვერხვიაშვილი. დ. ალმახელიძე, ტ. და ო. მაჭულაშვილები, რ. მარგალიტაძე, მ. გიგინეიშვილი, მ. გოგბერაშვილი, ლ. ბუაძე, ბ. მღვდელაძე, ა. მამალაძე (ყველა — თბილისი).

პირველი ტური

ქალთა ჩემპიონატი

ქალთა საკავშირო ჩემპიონატის წილისყრის შედეგები ასეთია: 1. ოსტატობის კანდიდატი მულენკო (ზაპორიჟეე), 2. საერთაშორისო ოსტატი ბორისენკო (ტაშკენტი), 3. საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, საერთაშორისო ოსტატი შული (ლვოვი), 4. მსოფლიოს ჩემპიონი გიფერნდაშვილი (თბილისი), 5. ოსტატობის კანდიდატი სტრელნიკოვა (კუიბიშევი), 6. საერთაშორისო ოსტატი ზვორიკინა (მინსკი), 7. საერთაშორისო ოსტატი ზატულოვსკაია (მოსკოვი), 8. ოსტატი ლიუბარსკაია (როსტოვი), 9. ოსტატობის კანდიდატ ალიოხინა (ვორონეჟი), 10. საერთაშორისო ოსტატი კისლოვა (ომსკი), 11. ოსტატი ხემეონოვა (კიევი), 12. მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტი, საერთაშორისო ოსტატი კოზლოვსკაია (პიატიგორსკი), 13. ოსტატობის კანდიდატი მოროზოვა (ლვოვი), 14. ოსტატობის კანდიდ ატ ი ჩიბურდანი ძ ე (თბილისი), 15. ოსტატობის კანდიდატი სტეფნინა (მოსკოვი), 16. ოსტატი პეტკო (სოჩი), 17. ოსტატობის კანდიდატი გრინფელდი (კალინინგრადი), 18. საერთაშორისო ოსტატი მედიანინოვა (მოსკოვი), 19. ოსტატობის კანდიდატი ფომინა (ტალინი), 20. ოსტატობის კანდიდატი მატვეევა (ალმა-ათა).

გუშინ პირველ ტურში ზვორიკინამ მოუგო სტეფნინას, ზატულოვსკაიამ — ჩიბურდანიძეს, პეტკომ — სტრელნიკოვას. ყაიმზე შეთანხმდნენ ლიუბარსკაია და მოროზოვა.

დანარჩენი პარტიები გადაიდო. გაფორმდაშვილს მოსაგები პოზიცია აქვს გრინფელდთან.

დღეს მეორე ტურია.

სურათზე: ქალთა საკავშირო ჩემპიონატის მონაწილეთა ჯგუფი.

ხ. კილაძის ფოტო.

ჭიდაობა

სანდრო კანდელაკის თასზე

ბუზინ თბილისის სპორტის სასახლეში გაიხსნა სახელოვანი ქართველი ფალავნის ს. კანდელაკის სახელობის ტრადიციული ტურნირი ქართულ ჭიდაობაში, რომლის სტარტზე გამოვიდა თბილისის, გორის, ქუთაისის, თელავის, ზესტაფონის, კასპის, ხაშურის, ახმეტის 30-ზე მეტი ფალავანი.

პირველმა ორთაბრძოლებმა დაძაბულ ვითარებაში ჩაიარეს. განსაკუთრებით საინტერესო იყო გორელი ნ. ბედოშვილისა და თბილისელი ზ. ჭინჭლაძის შეხვედრა. მიუხედავად ამისა, რომ გორელი ფალავანი მთელი 35 კილოგრამით უფრო ძლიერ მეტოქეზე, დამარცხებას მაინც ვერ გადაურჩა. თბილისელმა სუფთა გამარჯვებას მიაღწია 3 წუთსა და 55 წამში.

ასევე სუფთად მოუგო მ. ლომიძემ (ხაშური) თბილისელ ნ. აბულაძეს, ხოლო თელაველმა ა. ელოშვილმა და ქუთაისელმა ვ. ფერკვილაძემ ქულებით სძლიეს ფესაბამისად დ. ოფუტრაშვილს (თბილისი) და მ. ზასეშვილს (ახმეტა).

დ. დემეტრაძე.

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

საქართველოს ხსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს ხსრ ხაბჭოთა მეურნეობების სამინისტრო, მებაღლეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის, სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მებაღლეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ეკონომიკისა და ორგანიზაციის განყოფილების ყოფილი გამგე, სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, პერსონალური პენსიონერი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი

ირაკლი ტარასის-ძე რცხილაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

კომუნისტი 380008 თბილისი-8, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეებისა—99-93-03, 99-03-09, ბ/მგ მდივ ნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93. მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, ოცნოეთის — 99-60-21. წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28.54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 ᲒᲔ 02841

ხელ. ბეჭდ.-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის 2-34.